# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

11 ნოემბერი, კვირა, 1990 წ.
№ 216 (10385) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტი ჩვენი არსობისა...

ქართველი კაცი ხხეულის წრთო ბას, ფიზიკურ აღზრდას, თუ გნებავთ, შეჯიბრებას ძალაში, სისწრაფეში, სიხხარტეში იმთავითვე დიდად აფასებდა. ამაზე მრავალი უტყუარი მასალა მეტყველებს — გათხრებისას აღმოჩენილი თუ შედარებით უფრო გვიანდელი პერიოდებიდან — დამწერლობის შექმნის შემდეგ — მოღწეული. და განა დიდებული რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" — ჰეშმარიტი ჰიმნი სიყვარულისა და მეგობრობის, ერთგულებისა და რაინდობის, ამავე დროს არ უმღერს „მობურთალთა" და „ხელმარჯვე მეჩოგნეთ" საქმეს?

მიუხედავად შვიდი ათეული წლის სავალალო ხანისა, დიდია მაინც ქართველი კაცის მიღწევები სპორტში შინაურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე. ვინ არ იცის ჩვენი ბრწყინვალე ათლეტთა გვარები, დიდებასა და სახელს რომ უმრავლებდნენ ქართველ ერს მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე. საბედნიეროდ, სხვა დრო გვიდგება, ნანატრ ცხოვრებას ველით ჩვენს მიწა-წყალზე. ალბათ. ველირსებით კიდეც საოცნებო ხანას! როგორი უნდა იყოს ხვალ ჩვენი ფიზიკური კულტურა და სპორტი, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სულთან ერთად სხეულითაც ძლიერნი „შევიდეთ" ახალ საქართველოში?

ყოველივე ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს, ქვეყნისა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საპატიო სპორტის ოსტატს, დოცენტ ჯანსუღ ბაგრატიონს.

ჯანო ბაგრატიონი, ეს სახელი ქართველი კაცისთვის უცხო როდია. უფროს თაობას კარგად ახსოვს შესანიშნავი მამულიშვილი, შეუდარებელი ქორეოგრაფი, ერთ-ერთი პირველი ქართული ჯაზის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ჯანო (უფროსი) ბაგრატიონი.

თითქოს შვილიც მამის კვალს მიჰყვებოდა: ჯერ კიდევ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე სწავლის დროს „აღმოაჩნდა მამის გენები" და საინსტიტუტო ოლიმპიადაზე მოაჯადოვა მსმენელი თავისი მოხდენილი ლირიული ბარიტონით. მთელი 5 წელიწადი გამოდიოდა ჯანო ბაგრატიონი პოლიტექნიკოსთა საქვეყნოდ ცნობილ საესტრადო ორკესტრში, ბოლოს კი მაინც სპორტის სიყვარულმა სძლია — თავის ჰაბუკურ გატაცებას მიჰყო ხელი.

ისე, როგორც ყველა ვერელი, ჯანოც ბავშვობიდან კალათბურთმა გაიტაცა. ვერის ბაღში ხომ ჰეშმარიტად დიდი კალათბურთის სამყარო იყო. ჯანომ გულმოდგინე მწვრთნელ თამარ გეგელაშვილთან მოსწავლეთა სასახლის სექციაში დაიწყო სიარული 1953 წელს, მერე დიდებულ აღმზრდელ მიხეილ ქეკელიძესთან გადავიდა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშიც შეიყვანეს ეროკ ქაშაკაშვილთან, თამაზ კაკაურიძესთან, ვალერი ლომაძესთან, ავთანდილ ლომსაძესთან, საურმაგ თურმანიძესთან და სხვებთან ერთად. გზები გაიყო: ბიჭები ახლა „ბურევესტნიკის" კალათბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ, ჯანო ბაგრატიონმა კი 1957 წლიდან ამავე საზოგადოების ხელბურთელთა გუნდში დაიწყო თამაში გიორგი შარაშიძისა და თამაზ ანთაძის ხელმძღვანელობით. 1964 წელს იგი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, სამჯერ ვერცხლის და ერთხელ ბრინჯაოს მედლითაც დააჯილდოვეს; ორგზის მონაწილეობდა ევროპულ ტურნირებში; 1969 წლიდან, ხუთი წლის განმავლობაში, თავად იყო თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი. სწორედ ამ პერიოდში მოვიდნენ კოლექტივში ხელბურთის ისეთი ოსტატები, როგორნიც იყვნენ: ალექსანდრ ანპილოგოვი, ამბერკი ტაბიძე, გია ნარიმანიძე, ზაზა დოლიძე, ამირან კომახიძე, ჯემალ ბარამიძე, ძმები — გიორგი და ვახტანგ ბერიაშვილები. 1974-1975 წლებში ჯანო ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას; პარალელურად დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტიც...

● **ჟამთა სრბოლა ყველაფერს ცვლის, ყოველივე სახეცვლილებას განიცდის, ცხადია, ახალი საქართველოს შვილთ სპორტის დღევანდელი მდგომარეობა აღარ დაგვაკმაყოფილებს. ალბათ, ახალი ფორმების ძებნაა საჭირო, მით უფრო რომ მომავალი წლიდან საყოველთაო თვითდაფინანსებაზე გადავდივართ...**

იხ. მე-3 გვ.

საქმემან შენმან გამოგაჩინოს...

# ნუ შეზღუდავთ ადამიანებს და ისინი სასწაულს მოახდენენ



ერთი ცნობილი სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელმა ამას წინათ გამართულ თავყრილობაზე ნაცნობი ფრაზა გაიმეორა: ვისმენდი ყველაფერს და თავი პირველი კლასის მოსწავლე მეგონა, მართლაც, დღეს ბევრ საქმეში პირველკლასელები ვართ, თავიდან ვიწყებთ ყველაფერს, გვრცხვენია, რომ გვიანაა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ჩამორჩენილი მოსწავლესავით, თავიდან უნდა შევისწავლოთ თანამედროვე ცხოვრების ანბანი. ახლა არავის ულხინს, ყველა დარგი და სფერო თანაბარ პირობებშია, ათეული წლები თურმე სულ სხვა გზით გვივლია და ადამიანების ფიზიკურ გაჯანსაღებაშიც კი სავალალოდ გვქონია საქმე. სულ ბლეფი ყოფილა მილიონობით ფიზკულტურელისა და სპორტის მასობრივ სახეობებში მომეცადინეთა სტატისტიკა!

ახლა ყველაფერი უნარიან ადამიანებზეა დამოკიდებული. მუშაობის სტერეოტიპების ნგრევის პარალელურად, თამამი, ალღოიანი, ეკონომიკის მცოდნე, ხვალინდელი დღის მკაფიოდ მჭვრეტელი და, თუ გნებავთ, საზოგადოებაში გავლენიანი მუშაკები თუ გამოგვიყვანენ ჩიხიდან.

სპორტის სასახლე! — ხალხი დაიღალა დაპირება-ლოდინით, ბოლოს და ბოლოს, შეეჩვია კიდეც რესპუბლიკის ამ უპირველესი დახურული სპორტული კომპლექსის „გამოლამებულ თვალებს". როგორც უდაბნოში უსიცოცხლო პირამიდა, ისე იდგა „სიჯანსაღის" ეს უდიდესი კერა საქართველოს დედაქალაქის ცენტრში. აქ მხოლოდ ჟამიდან ჟამამდე თუ აბდღვრიალდებოდა ელნათურები, როცა რომელიმე სპორტული ღონისძიება ტარდებოდა. შემოგარენი კი ისეთ ფონს ქმნიდა, სპორტის სასახლისკენ ზურგით რომ დადგებოდი, თავი მივარდნილ აულში გეგონებოდა.

სულ ორი წელიწადი; მხოლოდ ორი წელიწადი დასჭირდათ სპორტის სასახლის ახალ ხელმძღვანელობას და კოლექტივს, რომ ძიების გაქანებით და ნაბიჯ-ნაბიჯ უფლებების გამოთხოვით (სამწუხაროდ, ჯერ ესეც საჭიროა), ნამდვილ ბატონ-პატრონებად ეგრძნოთ თავი, რომ სპორტის სასახლე და მისი მიმდებარე ტერიტორია მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და გართობა-დასვენების კერად გადაქცეულიყო. დღეს ეს უკვე რეალობაა.



ინტერვიუ თბილისის სპორტის სასახლის დირექტორთან, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატ თენგიზ ლომიძესთან.

● **ბატონო თენგიზ, თითქმის ორი წელიწადია „ლელოს" ფურცლებზე სპორტის სასახლის საქმიანობის შესახებ არაფერი გამოქვეყნებულა, უფრო სწორად, საყვედური არ თქმულა. რა გაკეთდა დროის ამ მონაკვეთში?**

— ბევრი რამ, მაგრამ ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამთავითვე მინდა გამოვკვეთო მთავარი — საქმიანობის ქვაკუთხედად ვაქციეთ სპორტის სასახლის შესაძლებლობების (შემოგარენის ჩათვლით), დაფარული რეზერვების სრულად გამოვლენა-ამოქმედება და ყველა ამ შესაძლებლობის ადამიანთა კეთილდღეობის, მისი გაჯანსაღების, აქტიური დასვენების სამსახურში ჩაყენება. როგორც იცით, დამთავრდა მიმდინარე რემონტი, სასახლის ფასადის მხარე კეთილმოეწყო, დამონტაჟდა მუსიკალური შადრევანი, გაკეთდა მიწისქვეშა გასასვლელი სასტუმრო „აჭარამდე" — ეს ყველაფერი ქალაქის ხელმძღვანელების უშუალო მხარდაჭერით მოხდა. მივიღეთ იმის ნებართვაც, რომ სასახლის შემოგარენის აუთვისებელი ადგილი მოსახლეობის გაჯანსაღების კერად გვექცია. დღეიდან, ვფიქრობთ, ყველა სიხარულით მოგვაკითხავს. ჩანაფიქრმა თითქმის დასრულებული სახე მიიღო.

● **კულტურულ-სპორტული ღონისძიებები სპორტის სასახლის შემოსავლის ძირითადი წყაროა და ალბათ ასე იქნება მომავალშიც. მაგრამ საინტერესოა, კონკრეტულად რა გაკეთდა საიმისოდ, რომ მოსახლეობას გავუწიოთ ფასიანი მომსახურება, შევუქმნათ გაჯანსაღების ნორმალური პირობები...**

— ცოტა შორიდან დავიწყებ, როცა ქალაქის სპორტკომიტეტში თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი. კომიტეტს სათავეში ედგა ჩვენი სასიქადულო ფალავანი ლევან თედიაშვილი. მე და ლევანმა დავათვალიერეთ სპორტის სასახლის შემოგარენი და გაოცებული დავრჩით ნანახით. იმ დღეს გაჩნდა იდეა — ეს მიგდებული ადგილი ჯანმრთელობის ზონად გადაგვექცია. მერ



იხ. მე-2 გვ.

# ლეილა მესხი — ორმაგი ნახევარფინალი

**ინდიანაპოლისი.** დამაჯერებლად გამოდის თბილისელი ჩოგბურთელი ლეილა მესხი აშშ-ის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. მეორე წრეში მან საკმაოდ ადვილად დაამარცხა ამერიკელი შაუნ სტეფორდი (6:2, 6:1), მესამე წრეში კი, მეოთხედფინალში, უფრო სერიოზული მეტოქე შეხვდა — იტალიელი რაფაელა რეჯი. მესხმა ეს მატჩიც მოიგო, ამჯერად სამი პარტიის ჯამში — 3:6, 6:3, 7:5.

ამავე წრეში გაიმარჯვეს და ლეილას სავარაუდო მეტოქეები იქნებიან: კიეველი ნატალია მედვედიევა (დაამარცხა მერიდიტ მაკგრაფი, აშშ), ბულგარელი კატერინა მალეევა (მოუგო სიუზან სლოანს, აშშ) და ესპანელი კონჩიტა მარტინესი (სძლია ნიკოლ პროვისს, ავსტრია). თბილისელი ჩოგბურთელი მედვედიევასთან ერთად წყვილთა თანრიგის ნახევარფინალშიც იასპარეზებს. მეოთხედფინალში მათ დაამარცხეს ბეტინა ფულკო (არგენტინა) და ელი ხაკამი (აშშ) — 6:2, 6:2.

**უორჩესტერი (აშშ).** „ვირჯინია სლიმზის" სერიის ტურნირში მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა (გერმანია) დაამარცხა მინსკელი ნატალია ზვერევა — 6:0, 6:1.

**მოსკოვი.** „კრემლის თასის" გათამაშების მეოთხედფინალში უფელმა ანდრეი ჩერკასოვმა დაამარცხა ესპანელი ემილიო სანჩესი და ნახევარფინალში გავიდა. კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი კი დამარცხდა ამერიკელ ტიმ მაიოტთან — 3:6, 2:6.

საკავშირო ჩემპიონატის სუპერფინალური მატჩები

# „ივერიას" — ვერცხლის მედლები

**ზლატოუსტი.** ჩელიაბინსკის ოლქის ამ ქალაქში გაიმართა წყალბურთელ ქალთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ორი სუპერფინალური მატჩი ადგილობრივ „ურალოჩკასა" და თბილისის „ივერიას" შორის, რომელსაც უნდა გამოევლინა სსრ კავშირის 1990 წლის ჩემპიონი. პირველი შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 15:10, მეორე — 7:5.



ჩემპიონის ოქროს მედლები ზლატოუსტელმა წყალბურთელებმა დაიმსახურეს, „ივერიას" კი ვერცხლის მედლები ხვდა.

# ნუ შეგვიჩაგავთ ადამიანებს და ისინი სასწაულს მოახდენენ

(დასასრული)

როცა სპორტის სასახლის დირექტორად დამნიშნეს, ჩანაფიქრის ხორცშესხმის შესაძლებლობა ძნელად, ბრძოლით, მაგრამ მაინც მომეცა. დღეს ეს ადგილი საქართველოში ალბათ ყველაზე კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერაა. ყოველ შემთხვევაში, სხვაგან არსად მეგულება ის, რაც ჩვენს ბაზას სხვებისგან გამოარჩევს. პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ეგრეთ წოდებული ეტაპობრივი საცურაო კომპლექსი სამი აუზით! კომპლექსში შედის საჭყუმპალაო სულ პატარებისათვის. ამას მოსდევს სასწავლო აუზი უფრო მოზრდილებისთვის და სულ ბოლოს — აუზი დიდებისთვის, ყველასთვის, ვინც ცურვა იცის და გაჯანსაღება სურს. გვაქვს სამი ფინური აბანო — ერთი ქალებისთვის, ორი — მამაკაცებისათვის. აქვეა ათლეტიზმის უცხოური მოდელის ყველა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი დარბაზი, რომლის მოცულობა 230 კვადრატული მეტრია. ცხადია, ცალკეულ ობიექტს აქვს ერთმანეთისგან იზოლირებული გასახდელები და საშხაპეები. აქვეა თოთხმეტი სამედიცინო კაბინეტი. ასე რომ, მეცადინეობის მსურველები პოლიკლინიკაში ჯანმრთელობის ცნობისთვის სიარულში დროს აღარ დაკარგავენ, ყველა პროფილის ექიმთან აქვე გაივლიან შემოწმებას. შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ორგანიზმის ფუნქციონალური შესაძლებლობების მიხედვით დაენიშნებათ ფიზიკური ვარჯიშები დოზირების ჩვენებით.

დამავიწყდა მეთქვა: ზონაშივე მოვაწყვეთ სარბენი ბილიკები. ღია მოედანზე ჩოგბურთის მაგიდებს დავდგამთ. გამაჯანსაღებელ ზონაში კაფეც იმუშავებს. აქ ყველაფერში სპორტული თემატიკაა ჩაქსოვილი — თვით ლამპიონებშიც კი. ზონას აცოცხლებს და ალამაზებს შადრევანი, აუზი, იქვე გაშვებული გარეული ფრინველები.



**● რამდენი დრო დასჭირდა გამაჯანსაღებელი ზონის შექმნას და რა დაჯდა ეს ყველაფერი?**

— შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ იმ დღიდან, რაც საქმეს პრაქტიკულად მოვკიდეთ ხელი, მხოლოდ შვიდი თვე გავიდა. ასე მოკლე დროში ჩანაფიქრის ხორცშესხმა კოლექტივის საერთო ენთუზიაზმმა, შეფებისა და სპონსორების თანადგომამ შეგვაძლებინა. რა დაჯდაო, მკითხეთ. იცით, ერთი საშუალო აუზი რა ჯდება? — დაახლოებით ნახევარი მილიონი. ჩვენ ამ თანხით მთელი გამაჯანსაღებელი კომპლექსი შევქმენით. ის სხვა საქმეა, ვინ რა შემოგვაწია და რა გაიღო, როცა გაიგო, რომ ასეთ კარგ საქმეს ვაკეთებდით თბილისელებისთვის.

**● ბარემ აქვე გკითხავთ, ცხადია, კარგია, რომ კომპლექსს სამი საცურაო აუზი აქვს. დარწმუნებული ხართ, რომ ეს ახალი ბაზაც არ მიემატება თბილისის იმ აუზებს, გახსნის მეორე დღიდანვე რომ გამოვიდნენ მწყობრიდან და მათგან ბევრს შემდეგ თვით ყოვლისშემძლე კოოპერატორებმაც კი ვერ უწამლეს?**

— ეს ამბები ჩვენთვისაც ცნობილია და ყველაფერი გავითვალისწინეთ. დავამონტაჟეთ წყლის მიმოქცევის, ფილტრაციისა და გაწმენდა-განახლების თანამედროვე სისტემა. ქლორზე უარი ვთქვით, უპირატესობა წყლის იონიზებას მივანიჭეთ. იონიზებული წყალი სამჯერ უფრო სუფთა და გამძლეა. ფილტრების სიმძლავრე შვიდჯერ აღემატება ჩვეულებრივს, რაც მთავარია, აუზებს და, საერთოდ, გამაჯანსაღებელ ზონას საკუთარი გათბობის სისტემა აქვს.

**● როგორც წესი, გამაჯანსაღებელი ზონა თვითანაზღაურებაზე იმუშავებს, მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს ინდივიდუალურ გადასახადზე. რა ეღირება მეცადინეობა, უფრო ხწორად, კომპლექსური მომსახურება?**

— გაცილებით ნაკლები, ვიდრე სხვაგან. — თვეში 30 მანეთი. მაგრამ ბავშვებს და სპონსორებს აბონემენტებს შეღავათიან ფასებში მივცემთ. მეცადინეობა კვირაში სამჯერ ჩატარდება. ყოველი მეცადინეობის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური საათია.

**● თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თქვენი ჯანმრთელობის ზონა მდებარეობითაც და ტრანსპორტითაც მისადგომად ძალზე ხელსაყრელია, მომეცადინეები არ უნდა მოგაკლდეთ...**

— რას ბრძანებთ, ჯერ მუშაობა არ დაგვიწყია და უამრავი განაცხადი შემოვიდა. არც კი ვიცი, ყველა მსურველის მიღებას შევძლებთ თუ არა.

**თენგიზ ლომიძესთან ჩვენი საუბარი რამდენჯერმე შეწყდა. სპორტის სასახლის დირექტორს ბევრი აკითხავდა. რაზე აკითხავდნენ? — თავისუფალ დროს სპორტის სასახლის გამოყენების საკითხზე. საუბარი დიდხანს არ გრძელდებოდა. არის დრო? მობრძანდით, მორჩა და გათავდა.**

**● მომავალში რას აპირებთ? — ვაგრძელებთ საუბარს დირექტორთან.**

— სამეურნეო მუშაკმა თუ არ იცის, დღევანდელი მისი საქმიანობა ხვალ და ზეგ რა შედეგს გამოიღებს, გარჯა უნაყოფოა. ის, რაც დღემდე ჩვენთან გაკეთდა, იმ გეგმის პირველი ეტაპია, თავიდან რომ ჩავიფიქრეთ. ახლა იწყება მეორე ეტაპი, რომლის მიზანიც კოლექტიურ იჯარაზე გადასვლაა. ეს ეტაპი, თავის მხრივ, ნიადაგს მოგვიმზადებს მესამე ეტაპისათვის, როცა შევძლებთ სააქციო საზოგადოება გავხდეთ. სააქციო საზოგადოების ფუნქციიდან გამომდინარე სიკეთე ყველას კარგად მოეხსენება.

**● უფრო კონკრეტულად რას გვეტყოდით უკვე განვლილ ეტაპზე?**

— პირველ ეტაპზე შევძელით სპორტული და კულტურული ღონისძიებების შემოსავალი ისე გაგვეზარდა, რომ მოგება მიგვეღო, შემდეგ კი მოგებიდან თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობები გამოგვენახა. ამას მივაღწიეთ. მოკლედ ვიტყვი, თუ ადრე საშუალო ხელფასი თვეში 70 მანეთი იყო, ახლა 130 მანეთი გახდა; ადრე თუ ხელფასის მისაღებად მუშაკები თვეში ორჯერ მიდიოდნენ სალაროსთან, ახლა ხუთჯერ მიდიან ჯამაგირისა და სხვადასხვა წამახალისებელი ფულადი ჯილდოს მისაღებად. მეორე ეტაპზე, როცა ბრიგადულ მეთოდზე გადავალთ, საშუალო ხელფასს 300 მანეთამდე ავიყვანთ.

**● ამბობენ, სპორტის სასახლეს საკუთარი, მუნიციპალური მილიცია ჰყავსო, მართალია?**

— დიახ, მართალია, შტატში ავიყვანეთ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი თორმეტი მილიციელი. თუ საჭირო გახდება, გავზრდით მათ რაოდენობას, მაგრამ ღმერთმა ნუ დაგვაჭირვოს. ვფიქრობ, მალე



გაივლის ადამიანებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე გარე გამღიზიანებლების ზემოქმედების დრო და ყველაფერს წესი და რიგი, ურთიერთპატივისცემა გაალამაზებს. რა გვჭირს ერთმანეთის სამწყსავ-საბღვერი.

**● გაზეთს შესაკითხი აღარაფერი აქვს, თქვენ ხომ არა გსურთ დამატებით რაიმეს თქმა?**

— თუ შეიძლება, კი ბატონო. ისე ნუ ჩამომართმევთ ნურც თქვენ და ნურც სხვა, რომ ვინმეს ჭკუას ვარიგებდე, მაგრამ დიდი სურვილი კი მაქვს, ჩემი ხმა მივაწვდინო ყველას — საწარმოების, ორგანიზაციების, თუნდაც სპორტული ბაზების ხელმძღვანელებს: მიმოიხედეთ ირგვლივ, ნახეთ, რამდენი შესაძლებლობა გვრჩება გამოუყენებელი, რამდენი სიკეთე შეგვიძლია მოვუტანოთ ხალხს. ბევრგან ხომ უამრავი ფულადი სახსრებიც აუთვისებელია. კიდევ ერთი — ღრმად მწამს, თუ კაცი თავის საქმეს პირნათლად ასრულებს, ის მუდამ პირმართალი იქნება ხალხისა და სამშობლოს წინაშე. მე ეს პრინციპი ჭეშმარიტ ეროვნულ პრინციპად მიმაჩნია.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი.**

• • •

**ყურადღება! მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია მოგიწოდებთ ყველას, ვისაც სურს ხალხის გაჯანსაღებისათვის კონკრეტული ნაბიჯი გადადგას: მიაკითხეთ სპორტის სასახლის დირექტორს თენგიზ ლომიძეს. გადაიღეთ მისგან გამოცდილება!**

---

**საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში**

## ანგარიშები, ცხრილები, ანონსი

უძლიერესთა ჯგუფის წარმომადგენლების — ქუთაისის „აიასა" და თბილისის „ასოციაციის" მატჩი არ შედგა, რადგან თბილისელები არ გამოცხადდნენ სათამაშოდ. ჩემპიონატის დებულების თანახმად მათ ჩაეთვალათ დამარცხება ანგარიშით 0:30.

ხუთშაბათს „აიამ" უმასპინძლა გათამაშების ლიდერს თბილისის „ელმავალს". თბილისელი ნარიმანიძის ლელო, რომელიც ჩავლეიშვილმა გარდასახა, ერთაერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში და გამარჯვებაც თბილისელებს დარჩათ — 6:0.

სატურნირო ცხრილი დღეისათვის ასე გამოიყურება:

**უძლიერესთა ჯგუფი**

**(I-IV ადგილები)**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ელმავალი" | 11 | 11 | 0 | 0 | 22 |
| „აია" (ქუთაისი) | 11 | 9 | 0 | 2 | 18 |
| „მიმინო" | 13 | 8 | 1 | 4 | 17 |
| „ასოციაცია" | 13 | 8 | 1 | 4 | 17 |

**სანუგეშო ჯგუფი**

**(V-XII ადგილები)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" (ჭიათ.) | 18 | 11 | 1 | 6 | 23 |
| სტუ | 16 | 9 | 0 | 7 | 18 |
| „აკადემია" | 16 | 8 | 1 | 7 | 17 |
| „გელათი" (ქუთ.) | 14 | 8 | 0 | 6 | 16 |
| „შევარდენი" | 16 | 8 | 0 | 8 | 16 |
| „ზოოვეტი" | 18 | 3 | 0 | 15 | 6 |
| „სათაფ." (წყალტ.) | 16 | 3 | 0 | 13 | 6 |
| „უნივერსიტეტი" | 18 | 2 | 0 | 16 | 4 |

დღეს „ასოციაცია" მიიღებს „აიას", „ელმავალი" — „მიმინოს", ხოლო ქუთაისში „გელათი" უმასპინძლებს „აკადემიას".

---

**გამოხმაურება ზ. ასკანელ ის წერილზე: „ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის"**

## მართლაც, დადგა დრო...

**მე** მხარს ვუჭერ და ვეთანხმები ზურაბ ასკანელს ყველაფერში, რაც ქართული სპორტის სუვერენიტეტს ეხება. მართლაც დადგა დრო, ფეხბურთივით გამოვეყოთ ცენტრს და საკუთარ თავს თავად მივხედოთ, ეს აუცილებელია ჩვენი ეროვნული პოზიციის განსამტკიცებლად. გავიდეთ უცხოეთის ქვეყნებში, იქ უფრო არ ავიმაღლებთ ოსტატობას, უფრო უკეთ არ გაიცნობენ ქართულ სპორტს? ქართული სპორტი უცხოურ ვალუტასაც შემოგვიტანს, რატომ არ გადავდგათ ეს ნაბიჯი?

**ე. სალუქვაძე,**
**თბილისი.**

## რატომ არ მიმართავთ იურისტებს და ეკონომისტებს?

**მაოცებს** „ლელოს" რედაქციის პოზიცია. ზოგიერთი ავტორი „ღია კარს" ამტვრევს. თუ დღეს ყველგან იცავენ ადამიანის უფლებებს, ჩვენ რატომ უნდა დავარღვიოთ იგი?

რა მაქვს მხედველობაში? მოგეხსენებათ, სპორტსმენი პროფესიონალია, სპორტით ცხოვრობს, თავს ირჩენს და ზოგიერთი ოჯახსაც არჩენს, თუნდაც მწვრთნელი აიღეთ. გვაქვს უფლება წავართვათ სპორტსმენს და მწვრთნელს პროფესია? ეს ხომ იგივეა მსახიობს ვუთხრათ თავი გაანებოს სცენაზე თამაშს, ან ექიმს ავუკრძალოთ ექიმობა, დურგალს დურგლობა და ა. შ. ალბათ მიმიხვდით რისი თქმა მინდა. განა დღეს, ვიდრე თავისუფალი არა ვართ, ყველა საბჭოთა სისტემაში არ ვმოღვაწეობთ? როგორ ხასიათზე დადგებით, ჟურნალისტებს რომ გიკიჟინონ ახლავე აიღეთ ხელი თქვენს პროფესიაზეო. მოუხმეთ იურისტებს და იურიდიულადაც შეაფასეთ ის მოთხოვნები, რასაც სპორტსმენებს ვუყენებთ. ეკონომისტებსაც სთხოვეთ დახმარება, დაიანგარიშეთ რამდენს იღებენ დღეს სპორტსმენები და რამდენი იხარჯება გუნდების, სპორტული ინვენტარის შენახვაზე. შეგვიძლია კი ხარჯების უზრუნველყოფა?

ვიმეორებ, მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ ქართული სპორტი დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ ჯერ რეალური გზა დავინახოთ. ქართული სპორტის თვითმკვლელობამდე მიყვანის უფლება არავის აქვს. დღეს ყველა ამბობს საქართველოს სრული თავისუფლების მოპოვებამდე გარდამავალი პერიოდი ესაჭიროება, თუ ვინმეს ჰირდება გარდამავალი პერიოდი ეს სპორტსაც ეხება, რომ მთლად არ დავიღუპოთ. გვირაბის ბოლოში თუ შუქი არ მოჩანს, კაცი შიგ თავს არ შეჰგავს. მაპატიეთ, ის გითხარით, რასაც ვფიქრობ.

**მერაბ ძაბირაძე**
**ეკონომისტი.**
**ქუთაისი.**

## დაგვანახეთ, რომ ვაჟკაცები ხართ!

**ზ. ასკანელი** სწორია, უარი უნდა ვთქვათ იმპერიულ სპორტზე. ვფიქრობ, ქართველ სპორტსმენებს ეყოფათ ვაჟკაცობა და უარს იტყვიან სხვის სამსახურზე. არ გიჯობთ, საკუთარი დროშის ქვეშ ვიასპარეზოთ მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე?

ვინ იქნება პირველი, ვინც ამას თავის სურვილით გააკეთებს? ვფიქრობთ, „ლელო" არ დაგზარდებათ და თქვენს ამ ვაჟკაცურ ნაბიჯს მთელ საქართველოს დაუყოვნებლივ აუწყებს. პირველს სხვებიც მოგბაძავენ!

**ხ. ფილია**
**ხობი.**

## ზოგადად ნუ ვიმსჯელებთ, კონკრეტულად ვუპასუხოთ კითხვებს

**ბევრს** სპორტის რთული მექანიზმი ძალიან იოლად წარმოუდგენია. ეს ხომ თავისთავად დიდი ინდუსტრიაა, რომელიც სხვა სფეროებისგან და დარგებისგან განსხვავებით, გამართულად მუშაობს და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას იძლევა. ამ ინდუსტრიის მოშლა, ძალიან ადვილია, კვლავ გამართვა— ძნელი. მე არ ვარ წინააღმდეგი ახალი გზების ძიებისა, რომ ქართულმა სპორტმა „საფირმო" სახელი შეინარჩუნოს, არ ვარ წინააღმდეგი უცხოეთში გასვლისა, მაგრამ რეალურ ცხოვრებას შევხედოთ, გავაანალიზოთ დღეს რამდენად რთულია და რამხელა უფსკრული ძევს სურვილსა და რეალობას შორის. გეკითხებით, დღეს თუ უარს ვიტყვით ძველ სისტემაზე, სად და როგორ იასპარეზონ ჩვენმა ძიუდოისტებმა, საერთოდ მოჭიდავეებმა, აკრობატებმა, სხვა სახეობების წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს მთელს მსოფლიოში? როგორ შევინარჩუნოთ კლასი სხვა სახეობებში, სად იასპარეზონ მოჭადრაკეებმა, მოკრივეებმა, ვისთან მოსინჯოს ძალა ნინო სალუქვაძემ, ვახტანგ იაგორაშვილმა, ინდივიდუალური სპორტის სახეობების სხვა წარმომადგენლებმა? ძალიან გთხოვთ, ემოციები გვერდზე გადავდოთ და კონკრეტული პასუხი გავცეთ ამ კითხვებზე.

**ბ. მოსულიშვილი**
**რუსთავი.**

---

## სიღნაღსაც მისწვდა მკლავჭიდი

**ძნელად** თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა მკლავჭიდის ასეთ ბუმს საქართველოში. მართლაც, იშვიათია ჩვენში სპორტის ისეთი სახეობა, რომელსაც ფეხის მყარად მოკიდებისთვის მხოლოდ ერთი წელი დასჭირვებოდეს. მკლავჭიდმა ეს შეძლო, და იმის დასტურად, რომ ქართველებმა ფართოდ გაუღეს კარი ამ ვაჟკაცურ სპორტს, სულ ახლახან სიღნაღში გამართული რაიონის ლია პირველობაც გამოდგება.

ტურნირის მოწყობის თაოსნებმა — შოთა ბეჟაშვილმა, აკაკი გელაშვილმა და გოჩა ონანაშვილმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, არც ღონისძიების სპონსორი ორგანიზაციის — წნორის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორმა დათო ალადაშვილმა დააკლო მზრუნველობა ორგანიზატორებსა და შეჯიბრების მონაწილეებს, რომლებიც 5 წონით კატეგორიაში ეტოქებოდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ორთაბრძოლებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: ვანო მირიანაშვილი (70კგ, სოფელი ანაგა), ბესიკ ბაიდოშვილი (90, სიღნაღი), მიხეილ გოგილაშვილი (90, ანაგა), ირაკლი მოსულიშვილი (მძიმე წონა, სიღნაღი). ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ი. მოსულიშვილმა, რომელმაც ფინალში ვ. მირიანაშვილს სძლია.

ასპარეზობის დასასრულს, მართალია, სიმბოლურად, მაგრამ მკლავჭიდელმა ქალებმაც სცადეს ბედი. ტატიანა კოკილაშვილისა და ზაირა ონანაშვილის „შერკინება" ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, ფულადი პრემიები. ერთი სიტყვით, სიღნაღსაც მისწვდა მკლავჭიდი. ვინ იქნება შემდეგი?

**ლევან ჯავახიშვილი**

# სპორტი ჩვენი არსობისა...

(დასასრული)

— ცხადია, ჩვენც არ ვართ, ასე ვთქვათ, „თამაშგარე მდგომარეობაში“ — უკვე ვდგამთ ამ მხრივ პირველ ნაბიჯებს, თუნდაც ისეთს, სპორტში ექსპერიმენტული გაერთიანებების შექმნა რომ წარმოადგენს. ასეთი გაერთიანებები თითქმის უკვე წელიწადია შევქმენით ორ სახეობაში — მძლეოსნობასა და ჭიდაობაში. ახლა მაგიდის ჩოგბურთშიც ვაყალიბებთ ანალოგიურ გაერთიანებას. პირველი სასიკეთო შედეგები უკვე გვაქვს და, ვფიქრობთ, ექსპერიმენტმა სავსებით გაამართლა.

**● მხოლოდ ორი-სამი სახეობა, ცოტა ხომ არ არის?**

— სიხარულით გამოვყოფდით უფრო მეტ სახეობას, თუნდაც ყველას (რაც ჩვენი საბოლოო მიზანია), მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ჯერ არ არსებობს ამის შესაძლებლობა. რა დასამალია, რომ ჩვენში არის სპორტის ბევრი სახეობა, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებელი არსებობის უნარი — არც რაოდენობრივად და, რაც მთავარია, არც ხარისხობრივად.

**● ქართული სპორტი თანდათანობით გამოდის „დიდი საბჭოთა სპორტიდან“, თანდათან ეთიშება მას...**

— მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ყოველი ხელის ერთი დაკვრით არ უნდა მოხდეს. ცხადია, ისევ ჩვენი სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით ეს სათამაშო სახეობებს ეხება — კალათბურთს, ხელბურთს, ფრენბურთს. თუ ფეხბურთში გვყავს კარგი კლასის რამდენიმე გუნდი, ზემოდასახელებულ სახეობებში, მოგეხსენებათ, ფაქტიურად მხოლოდ თითო „ნორმალური“ გუნდი გაგვაჩნია. რანაირად უნდა იზრდებოდეს მათი სპორტული კლასი, თუ „სახლში“ არავითარი კონკურენცია არა აქვთ. ამიტომ სპარინგ-პარტნიორები, ჩემი აზრით, რესპუბლიკის გარეთ უნდა ვეძიოთ. სანამ ამას მივაღწევდეთ მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივებზე პირდაპირი გასვლით, მანამდე, ალბათ, ისევ ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის სპორტსმენებს უნდა შევხვდეთ, მათ შორის რუსეთისასაც, რომელნიც, რა დასამალია, სხვა მეტოქეებთან შედარებით, უფრო მაღალი კლასისანი არიან. ხომ აქსიომაა: რაც უფრო მეტ და ძლიერ მეტოქეს შეხვდება სპორტსმენი, მით უფრო გაიზრდება, დაიხვეწება მისი ოსტატობა. სკამზე ჯდომით სპორტსმენი ჯერ არსად აღზრდილა.

**● სულ ახლახან დაბრუნდით მოსკოვიდან, დიდი საკავშირო თათბირიდან, ახალ საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებით ფიზკულტურული ორგანიზაციების კონსოლიდაციას რომ მიეძღვნა. მაინც რაზე იყო იქ საუბარი, თუ მიიღეს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება?**

— თათბირს ჩემს გარდა საქართველოდან „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ მიქელაძე, „შევარდენის“ თავმჯდომარის მოადგილე ემზარ ზენაიშვილი და „მართვეს“ პასუხისმგებელი მდივანი გურამ მარგიშვილი ესწრებოდა. გამოგიტყდებით, ჩვენთვის მოულოდნელად მეტად საქმიან, კონკრეტულ, მე ვიტყოდი, კეთილმოსურნე ვითარებას წავაწყდით. ყურადღებიანი, მეგობრული ტონი და მიდგომა ყველა საკითხისადმი, სხვადასხვა გამომსვლელისადმი ეტყობოდა ნებისმიერი რანგის მუშაკს, დაწყებულს საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარიდან ნიკოლაი რუსაკიდან — რიგით სპორტსმენამდე. კერძოდ, დიდი ყურადღებით მოეკიდნენ თათბირის მონაწილენი ყაზახეთის დელეგაციის მიერ დასმულ საკითხს „ცენტრის“ ავლით რესპუბლიკების დამოუკიდებელ მონაწილეობაზე საერთაშორისო (ოფიციალურ თუ არაოფიციალურ) შეჯიბრებებში. შუააზიელებმა კონკრეტული წინადადებაც კი დასვეს, — მათ რესპუბლიკებს მონაწილეობა მიეღოთ აზიურ თამაშებში, რაზედაც ნ. რუსაკმა პირდაპირ ოფიციალურად უპასუხა, რომ ამ საკითხზე მას შეხვედრა ჰქონდა აზიური და ევროპული სპორტის ხელმძღვანელებთან, სადაც გადაწყდა, — თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანხმობა იქნება, რესპუბლიკებს ნება დაერთვებათ დამოუკიდებლად იასპარეზონ საკონტინენტო შეჯიბრებებში, ამასთან გუნდებს გამოიყვანენ თავისი ეროვნული დროშით, საკუთარი ჰიმნის თანხლებით და სხვა. ცხადია, ჩვენი დელეგაცია დიდი მოწონებით შეხვდა ამ განცხადებას. ალბათ, თავშივე უნდა მეთქვა, რომ, საქართველოდან ჩასულებმა იქვე (თათბირი სასტუმრო „სპორტში“ ტარდებოდა) მოვილაპარაკეთ (და შემდეგ მათი სახელით მე მომიწია გამეკეთებინა განცხადება) იმის თაობაზე, რომ ჩვენი დელეგაცია არ მიიღებდა მონაწილეობას არავითარი საკითხის განხილვაში, არავინ გამოვიდოდა კამათში და, ასე ვთქვათ, მეთვალყურეთა როლში ვიქნებოდით. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოში, პირველად ჩვენს ცხოვრებაში, ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები. ამიტომ არ არის კონკრეტულად ცნობილი, თუ რა პოზიციას დაიკავებს ახალი ხელმძღვანელობა საკავშირო ხელშეკრულებათა მიმართ, როგორი სტრუქტურა და შემადგენლობა ექნება ჩვენს მინისტრთა საბჭოს. ამასთან ჩვენთვის მიუღებელია საკავშირო მინისტრთა საბჭოს და, კერძოდ, აღნიშნული თათბირის პროექტების ზოგიერთი დებულება. ერთი სიტყვით, ვაგრძნობინეთ, რომ ჩვენ ახალ ცხოვრებას ვიწყებთ...

**● სიტყვამ მოიტანა და, როგორია საკავშირო სპორტის მესვეურთა დამოკიდებულება „სოვინტერსპორტის“ მიმართ?**

— აქაც მეტად, თუ გნებავთ, ლმობიერი და სალი პოზიცია დაიკავეს სპორტის ხელმძღვანელებმა. თათბირზე პირდაპირ ითქვა, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია თავისუფლად, შეუზღუდავად ითანამშრომლოს ამ ორგანიზაციასთან, მარტივად რომ ვთქვათ, იყიდოს და გაყიდოს სპორტსმენები საზღვარგარეთ.

**● რამდენადაც ვიცით, თათბირზე ხალხთა სპარტაკიადების შესახებაც იყო საუბარი...**

— ითქვა, რომ ეს „გრანდიოზული“ სპორტული ფორუმები დღეს უკვე სხვა სახის კომპლექსური ასპარეზობით უნდა შეიცვალოს, უნდა გადახალისდეს შინაარსობრივად და არა მარტო, ვთქვათ, „აბრის“ შეცვლით. ამისათვის ყველა დელეგაციას სთხოვეს, უმოკლ[illegible] დროში თავისი ოფიციალური [illegible]ნადადებები გაუგზავნონ საკავშ[illegible]რო სპორტკომიტეტს. მანამდე კი გაგვაცნეს რიგით მეათე საკავშირო სპარტაკიადის ჩატარების პროექტი. იგი სპორტის 46 სახეობაში გაიმართება ძირითადად მოსკოვში, კიევში, მინსკსა და ტალინში. შეჯიბრება 21 იანვარს (!) დაიწყება ბელორუსიის დედაქალაქში ძიუდოისტთა ტურნირით. სპარტაკიადის პიკი ივლისზე მოდის, როდესაც დამთავრდება ეს ასპარეზობა. მაგრამ, ვიმეორებ, ყოველივე ეს პროექტია და ჯერ შორსაა საბოლოო სახით ჩამოყალიბებისაგან.

**● ზემოთ ვსაუბრობდით ჩვენს რესპუბლიკაში დამოუკიდებელი გაერთიანებებისა და ფედერაციების თაობაზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მაგრამ ეჭვი გვეპარება, რომ ისინი თავიანთი, ასე ვთქვათ, „სუფთა“ დამოუკიდებლობით ფონს გავლენ. მხედველობაში გვაქვს მატერიალური, ფინანსური მხარე...**

— ჩვენი პოზიციაც ასეთივეა: ცხადია, კარგია თვითდაფინანსება, სპონსორები და ასე შემდეგ, მაგრამ თუ სახელმწიფო ბიუჯეტს არ გამოუყოფს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, ცალკეულ სახეობებს, ძალიან გაჭირდება მათი შენახვა-განვითარება, ჩვენი ხალხის ფიზიკური გაჯანსაღება. ცნობილია, რომ სწორედ ასეა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში (საფრანგეთში, ინგლისში, აშში და სხვა). ამ საქმეს იქ ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება და არა ისეთი, როგორიც, რა დასამალია, საბჭოთა კავშირში იყო — დახმარება... ძირითადად ქაღალდზე.

**● ძველად დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტრადიციული სპარტაკიადები მძლეოსნობაში ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკებს შორის. მართლაც ძალზე საინტერესო სანახაობის მოწმენი ვიყავით თბილისელები ჩვენს მთავარ სტადიონზე. ათლეტები მონაცვლეობით ერევანში, ბაქოში და კიშინიოვშიც ასპარეზობდნენ. მერე რატომღაც დაიკარგა ეს კარგი ტრადიცია.**

— ორი [illegible] არ არსებობს: ასეთი შეჯიბრ[illegible] უნდა აღდგეს და, ცხადია, [illegible] მძლეოსნობაში. ამას[illegible] ურველია ბალტიისპირეთის [illegible] რესპუბლიკების. ჩართვა[illegible] ქართული სპორტი ამი[illegible] მხოლოდ დიდად მ[illegible]

**● [illegible] ორიოდე სიტყვა ეროვნულ [illegible]ლიმპიურ კომიტეტზეც [illegible]?**

— კარგ, ეროვნულ საქმეს შეეჭიდნენ ჩვენი „ოლიმპიელები“, თუმცა რიგ საკითხებში მუდამ [illegible] გვაქვს ერთიანი პოზიცია. რა [illegible]ქმა უნდა, ფრიად მისასალმებელია [illegible]ამოუკიდებელი შესვლა კარატესა და ხარდის საერთაშორისო ფედერაციებში. ალბათ, თავის დროზე საერთაშორისო ფედერაცია ქართულ ჭიდაობაშიც შეიქმნება. ცხადია, თუ ჩვენი ეს ეროვნული სახეობა ფართოდ დამკვიდრდება უცხოეთში. ამ მხრივ, ვიმედოვნებ, თავის სიტყვას იტყვის მოახლოებული საერთაშორისო ტურნირიც ქართულ ჭიდაობაში, რამდენიმე დღეში რომ დაიწყება თბილისის სპორტის სასახლეში. სიტყვამ მოიტანა და მინდა მოვუწოდო ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ფედერაციას — ფრენბურთისას, რომელსაც ენერგიული ვანო ყიფიანი უდგას სათავეში, დამოუკიდებელი სახე მიიღოს. თუ ეს ექსპერიმენტიც გაამართლებს, მაშინ სხვა სახეობებიც გაიზიარებენ ამას.

**● მაგრამ არის სპორტის სახეობები, რომლებსაც დამოუკიდებელი სახის მიღება, ალბათ, დღეს არ ძალუძთ, კერძოდ ცურვა.**

— ამ საინტერესო, მეტად საჭირო სახეობაში მართლაც ცუდი მდგომარეობა გვაქვს, მის შენახვაზე დიდძალი თანხა იხარჯება, [illegible] კი არ ჩანს. რამდენი ჯგუფი, რამდენი მწვრთნელი [illegible] პროდუქცია [illegible] იყოს, „წყალში ჩაყრილი“ ფული სპორტის სხვა სახეობებს მივცეთ, „ჯიბეში ჩავუდოთ“ ჩვენს ნაღდ ჩემპიონებს, რომლებიც ჭეშმარიტად იმსახურებენ მეტ მატერიალურ სტიმულირებას. ყოველივე ეს, ვფიქრობ, სერიოზული მსჯელობის საკითხია და დახანებას ვეღარ ითმენს.

**● წელიწადნახევარზე ოდნავ მეტი დარჩა ბარსელონის XXV ოლიმპიურ თამაშებამდე. რომ იტყვიან, ღმერთმა ქნას და ქართველი სპორტსმენები უკვე ამ ოლიმპიადაზე გამოვიდნენ დამოუკიდებლად, მაგრამ, მანამდე...**

— დღეისათვის სამოცდაათამდე კანდიდატი გვყავს შერჩეული ქვეყნის სხვადასხვა ნაკრები გუნდებისათვის. კანდიდატთა სია, ალბათ, რეალურად, 20-25 ათლეტამდე დაიხვეწება. მეტწილად ისინი წარმოადგენენ ჭიდაობას, წყალში ხტომას, მშვილდოსნობას, სროლას, კრივს, მძლეოსნობას, საგზატკეცილო ველორბოლას, ჩოგბურთს, თანამედროვე ხუთჭიდს, კეტბურთს... შეგახსენებთ, რომ სეულის თამაშებზე ჩვენი სპორტი 16 ათლეტით იყო წარმოდგენილი. სხვათა შორის, სამი რეალური პრეტენდენტი გვყავს ალბერვილის (საფრანგეთი) თეთრ ოლიმპიადაში მონაწილეობისათვისაც, ესენი არიან: თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე, სპორტული ციგის ოსტატები — ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი.

**● დღეს ქართული ეროვნული სპორტი ჭეშმარიტად დიდი ამოცანების წინაშე დგას, ახალი ერა უნდა დაიწყოს სპორტულ ცხოვრებაში, რათა დამოუკიდებლად გავიდეთ საერთაშორისო სარბიელზე.**

— ამისათვის საჭიროა პრინციპულად ახალი ფიზკულტურულ-სპორტული სისტემის შექმნა, რომელიც დამოუკიდებლობით გამოიკვეთება და დიდ საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარდგება ქართული სპორტი. საქართველოს სპორტსახკომი მზადაა მიუსხდეს, ეგრეთ წოდებულ, მრგვალ მაგიდას, თუ გნებავთ, ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად (რომლის შექმნის ინიციატორები სწორედ ჩვენ ვიყავით „ლელოსთან“ ერთად), რათა ვიმსჯელოთ ახალი სისტემის შექმნაზე, ეროვნული სპორტის მართვის ყველა საკითხზე. ბოლოს და ბოლოს, ამას მოითხოვს დღევანდელობა, ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი.

ესაუბრა ოთარ ნოზაძე



## ამჯერად 35-ე...

**მოსწავლე** ფეხბურთელთა ამ რესპუბლიკურ პირველობას სპეციალისტები ინტერესით ელოდნენ— უდავო იყო, რომ რამდენიმე თანაბარი სიძლიერის გუნდის გამოსვლა აამაღლებდა „კონკურენციის კოეფიციენტს“. ვარაუდი გამართლდა— ახლახან ბათუმში გამართულმა 1977 წელს დაბადებულ ყმაწვილ ფეხბურთელთა ტურნირმა სავსებით დააკმაყოფილა სპეციალისტთა ცნობისწადილი.

ყველას აჯობეს თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა (მწვრთნელები თ. ლორთქიფანიძე და გ. ავსაჯანიშვილი), რომლებმაც დაამარცხეს ქუთაისის (4:0), გორის (3:0), აჭარის (5:0), ფოთის (4:0) წარმომადგენლები და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ (0:0) აფხაზეთის გუნდთან. მეორე ადგილი სწორედ აფხაზეთის ნაკრებმა დაიკავა (მწვრთნელები გ. ჩოლოკიანი, ვ. ყიმანოვი), მესამე ადგილზე კი მასპინძელთა, აჭარის გუნდი გავიდა (მწვრთნელები ა. შაფათავა, ა. ზოიძე).

**გივი მუმლაძე,**
**სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში.**

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში გამარჯვებული თბილისის 35-ე სკოლის გუნდი.**

გია ახალაძის ფოტო.

## უეფა-ს თასზე

**9 ნოემბერს** უეფა-ს შტაბ-ბინაში ციურიხში მოეწყო ამ გათამაშების მერვედფინალური ეტაპის წილისყრა.

წილისყრის მიხედვით, მოსკოვის ტორპედოელები 28 ნოემბერს თავიანთ მინდორზე შეხვდებიან საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს „მონაკოს“, ხოლო 12 დეკემბერს საპასუხო მატჩს გამართავენ მეტოქის სტადიონზე.

გთავაზობთ უეფა-ს თასის გათამაშების დანარჩენ წყვილებს: „ბრონდბიუ“ (დანია) — „ბაიერი“ (გერმანია), „ინტერი“ (იტალია) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „რომა“ (იტალია) — „ბორდო“ (საფრანგეთი), „ადმირა ვაკერი“ (ავსტრია) — „ბოლონია“ (იტალია), „ანდერლეჰტი“ (ბელგია) — „ბორუსია“ (გერმანია), „ვიტესი“ (ჰოლანდია) — „სპორტინგი“ (პორტუგალია), „ქელნი“ (გერმანია) — „ატალანტა“ (იტალია). პირველი მატჩები ჩატარდება წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონთა თასსა და თასების მფლობელთა თასს, მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება გაისად, 6 და 20 მარტს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**● იტალიის** „ფიორენტინამ“ სამხრეთ ამერიკაში მიავლინა ქვეყნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფერუჩიო ვალკარეჯი, რომელსაც დაევალა მოლაპარაკება ახალგაზრდა ფეხბურთელებთან სამომავლო კონტრაქტების შესახებ. ვალკარეჯიმ არჩევანი შეაჩერა 3 ბრაზილიელზე (ბებეტო, ბისმარკი, ნეტო) და არგენტინელ ლა ტორეზე.

**● მადრიდის** „ატლეტიკოს“ მფლობელს ჰესუს ჟილის მძიმე ხასიათი დიდი ხანია ალარავის უკვირს. მიმომხილველთა უმეტესობას სწორედ ეს მიაჩნია კლუბის პრობლემათა მიზეზად. მწვრთნელების მუდმივი ცვლა, ფეხბურთელებით ვაჭრობა აშკარად არღვევს გუნდის ცხოვრების რიტმს. წელს ჟილის სასამართლო ელის. შარშან უეფა-ს თასზე იტალიის „ფიორენტინასთან“ დამარცხების შემდეგ, ვოტროს მსაჯობით უკმაყოფილო ჟილიმ განაცხადა: „ვოტრო ჰომოსექსუალისტია, იტალიელებმა მას ახალგაზრდა პარტნიორი უპოვეს და აბა რა გასაკვირია, რომ წაგვაგებინა“. ახლა „ატლეტიკოს“ მეპატრონეს მოუწევს თავისი სიტყვების სასამართლოში დამტკიცება.



**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

## I ჯგუფი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი 36-ე ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „არმაზი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 4:1, „სულორი“ (ვანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:3, „არაგვი“ (დუშეთი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:6, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „იმერეთი“ (ხონი) 3:1, „სიხარული-90“ (გაგრა) — „კახეთი“ (თელავი) 2:1.

## გვთავაზობენ სიახლეს

**საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში ქულათა დარიცხვის ახლებური სისტემა შემოგვთავაზა როსტომ ხომერიკმა. ჩვენი აზრით, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება მისი გაცნობა.**

გუნდს, რომელიც გაიმარჯვებს დიდი ანგარიშით, დაერიცხოს 4 ქულა; გამარჯვებისთვის ჩვეულებრივი ანგარიშით გუნდს დაეწეროს 3 ქულა; ფრეს შემთხვევაში — 2 ქულა, დამარცხების შემთხვევაში — 1 ქულა; დიდი ანგარიშით დამარცხებისათვის გუნდს ქულა არ ეწერება.

კონკრეტული მაგალითები: თუ ანგარიშში სხვაობა არის სამი ბურთი (3:0, 4:1, 5:2 და ა. შ.), მაშინ გოლის გატანით დაინტერესებულია ის გუნდი, რომელიც აგებს შეხვედრას. თუ სხვაობა 2 ბურთია (2:0, 3:1, 4:2 და ა. შ.), იმ გუნდის მიერ გატანილი გოლი, რომელიც იგებს შეხვედრას, ცვლის ქულების განაწილებას. თუ სხვაობა ანგარიშში 1 ბურთია (1:0, 2:1, 3:2 და ა. შ.), ისევ წაგებული გუნდის გოლი ცვლის ქულების განაწილებას, ბოლოს, თუ შეხვედრა ფრედ მთავრდება, ორივე გუნდი, ცხადია, გამარჯვებისთვის იზრუნებს.

# გ. კასპაროვ—ა. კარპოვის მატჩის ირგვლივ

### კამპომანესი ბოიკოტს უცხადებს?

როგორც ამას თავიდანვე მიაქციეს ყურადღება, ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი არ ესწრება კასპაროვ-კარპოვის მატჩს. რაშია საქმე? ამის შესახებ ჟურნალისტები ესაუბრნენ ბრაზილიელ საჭადრაკო მოღვაწეს ლინკოლნ ლუსენას, რომელიც ახლა თავისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს ფიდე-ს პრეზიდენტის პოსტზე.

აი, რა განაცხადა ლუსენამ:

— კამპომანესმა თქვა, რომ პირადი საქმეები აქვს მოსაგვარებელი და ამიტომ ვერ ჩამოდის ნიუ-იორკში. სინამდვილეში კი იგი ბოიკოტს უცხადებს ამ ქალაქს, სადაც თამაში კასპაროვის კატეგორიული მოთხოვნის გამო ტარდება. კამპომანესს კი, როგორც ცნობილია, უნდოდა, რომ მატჩი თავიდან ბოლომდე ლიონში გამართულიყო.

რაც შეეხება ორთაბრძოლას, მე ვფიქრობ, იგი კასპაროვის გამარჯვებით დამთავრდება.

### „პროპაგანდა, თუ ნებავთ, ეს არის!“

იუგოსლაველმა დიდოსტატმა სტეფან ჯურიჩმა, რომელიც თავიდანვე ესწრებოდა მატჩს, ჟურნალისტებს განუცხადა:

— ეს მატჩი ნამდვილ საჭადრაკო ზეიმად იქცა. როცა კასპაროვი და კარპოვი თამაშობენ, სამი ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი სამ დიდ დარბაზში 5 საათის განმავლობაში მრავალრიცხოვან დამსწრეთათვის არჩევს პარტიებს. ასეა ყოველი შეხვედრის დროს. ჭადრაკის პროპაგანდაც, თუ გნებავთ, ეს არის!

### ასე ფიქრობს მეცენატი

ცნობილი საჭადრაკო მეცენატი, ფიდე-ს მოღვაწე რაფაელ ტუდელა (ვენესუელა) ბევრი ექსპერტის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, რომ კარპოვი მოიგებს ამ მატჩს.

— მან ჯერ ანგარიშის გათანაბრების ჩინებული [illegible]ლებლობა ვერ გამოიყენა, მაგრამ [illegible]დეგ მაინც გაიმარჯვა და დაეწია მეტოქეს, საერთოდ, კარპოვი თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, დუნედ თამაშობდა, მაგრამ თანდათანობით მეტი ენერგია და შემართება გამოიჩინა. თქმა არ უნდა, იგი ერთ-ერთი უდიდესი მოჭადრაკეა ჭადრაკის ისტორიაში.

კარპოვს კი დიდად აფასებს, მაგრამ მეცენატის ნამდვილი იდეალი მაინც ფიშერი ყოფილა.

— ჩემი ნატვრაა, იგი ჭადრაკს დაუბრუნდეს. თუ დავიყოლიე და რომელიმე ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მზადა ვარ რამდენიმე მილიონი დოლარი დავხარჯო. ვიცი, ფიშერის დაბრუნების საკითხი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, ჩვენის მხრივ, მონდომება არ უნდა დავიშუროთ.

### „ინფარქტი ან სრული დასვენება“

ცნობილი ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ბირნი, რომელიც ადრე თვით იყო პრეტენდენტების მატჩების მონაწილე, კასპაროვ-კარპოვის ორთაბრძოლაზე სისტემატურად წერს „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

— უცნაური მოჭადრაკეა ეს კასპაროვი. ხან ნამდვილად „ექსტრემისტული მანერით“ თამაშობს და გულშემატკივრები „ინფარქტის მიჯნაზე“ ჰყავს, ანდა საერთოდ უარს აცხადებს ბრძოლაზე და დამატებით დასვენების დღეებს იწყობს.

ბირნს, ერთი მხრივ, მხედველობაში ჰქონდა 8 უაღრესად მძაფრი პარტია, მეორე მხრივ კი — 2 უფერული ყაიმი (მეხუთე და მეათე პარტიებში).

### პირველად სეკუნდანტის როლში

გამოჩენილი უნგრელი დიდოსტატი ლაიოშ პორტიში აღიარებს, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი საჭადრაკო კარიერის მანძილზე (იგი 53 წლისაა) პირველად უხდება სეკუნდანტის როლის შესრულება. მართალია, იგი ადრე ხანმოკლე დროით იყო კარპოვის კონსულტანტი (კორჩნოისთან პირველი მატჩის წინ), მაგრამ უშუალოდ ორთაბრძოლებს არასოდეს ესწრებოდა.

— ეს მატჩი ჩემთვისაც დიდად სასარგებლოა. არასოდეს მქონია საშუალება, ასე ახლოს გავცნობოდი მსოფლიოს ორი უძლიერესი მოჭადრაკის თამაშს. ძალიან გამიკვირდა, როცა კარპოვმა სეკუნდანტობა შემომთავაზა და დიდხანს არც კი ვთანხმდებოდი. მხოლოდ მაშინ გადავწყვიტე დავხმარებოდი კარპოვს, როცა მარცხი განვიცადე საზონათშორისო ტურნირში და მსოფლიო პირველობისთვის შემდგომ ბრძოლას გამოვეთიშე.

მე, როგორც სეკუნდანტს, რა თქმა უნდა, უფლება არა მაქვს შევაფასო თეორიული სიახლეები და დავახასიათო მეტოქეთა თამაში, მაგრამ ზოგიერთ რამეს მაინც ვიტყვი. ბრძოლა მეტად ძერვულ ვითარებაში მიმდინარეობს, შეცდომებიც ძალიან ბევრია. ეს, ცხადია, იმის გამო ხდება, რომ ორივე მეტოქე ყველაფერს სასწორზე დებს. ვფიქრობ, როგორც კასპაროვი, ისე კარპოვი ამ ორთაბრძოლისათვის შესანიშნავად არიან მომზადებულნი. ჩვენი „შტაბი“ ბევრს მუშაობს, ერთმანეთისა კარგად გვესმის და, რა თქმა უნდა, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. შეიძლება ითქვას, კარპოვმა ძალიან მალე დაიბრუნა ადრინდელი მზადყოფნა, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდეგში კარგ შედეგებს უნდა ველოდოთ.

ჟურნალისტებს ესაუბრა კარპოვის მეორე სეკუნდანტიც, ამერიკელი დიდოსტატი რონ ჰენლი:

— ჯერ სად ხართ! მეტოქეებმა უკვე საკმაოდ ააფორიაქეს საჭადრაკო სამყარო, მაგრამ ეს მაინც შესავალია. მთავარი ბრძოლა წინ არის. ასე რომ, მატჩის ლიონის ნახევარი ახლავე აღელვებს ჭადრაკის გულშემატკივრებს.

**გივი გამრეკელი**

---

როგორც ცნობილია, 2 ნოემბერს აშშ-ის თორმეტ ქალაქში დაიწყო ნბა-ს პროფესიულ კალათბურთელთა მორიგი, 1990-91 წლების ჩემპიონატი. ტრადიციულად ყურადღების ცენტრშია შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული „დეტროიტ პისტონსის“ გამოსვლები. ამ კლუბმა ორი პირველი შეხვედრა სტუმრად ჩაატარა მილუოკსა და კლივლენდში და ორივე მოიგო, „მილუოკი ბაქსთან“ ანგარიშით 115:104, „კლივლენდ კავალიერსთან“ 106:97.

და მაინც, კალათბურთის მოყვარულები ყველაზე დიდი ინტერესით ელოდნენ „ფენიქს სანზისა“ და „იუტა ჯაზის“ 2 და 3 ნოემბრის მატჩების შედეგებს. ელოდნენ იმიტომ, რომ ამ ორი პოპულარული კლუბის შეხვედრა გაიმართა არა აშშ-ში, არამედ... ტოკიოში და გულშემატკივრები ბრძოლის მსვლელობას თვალყურს ტელეეკრანებზე ადევნებდნენ.

ნბა-ს მიმდინარე ჩემპიონატის მთავარი სიახლეც სწორედ ეს გახლდათ. პროფესიული კალათბურთის ისტორიაში პირველად ლიგის გუნდები ურთიერთობას ერთმანეთში საზღვარგარეთ არკვევენ. რას ისახავდა მიზნად ეს ექსპერიმენტი, არ უნდა იყოს ძნელი გასაგები. ამას, ცხადია, არც ნბა-ს ხელმძღვანელები მალავენ.

სტატისტიკის თანახმად (სხვათა შორის, არც ეს წარმოადგენს საიდუმლოს), ლიგის ყოველწლიური შემოსავალი 700 მილიონის ფარგლებში მერყეობს. ამაში, რა თქმა უნდა, არ შედის არც სპონსორთა შემოწირულება და არც რეკლამით მიღებული თანხები (5-10 მილიონ დოლარს ლიგას დამატებით აძლევს საზღვარგარეთ ჩატარებული ამხანაგური შეხვედრები). „ფენიქსისა“ და „იუტას“ ორ შეხვედრას იაპონიის დედაქალაქში 15 ათასი მაყურებელი დაესწრო. პროფესიული კალათბურთისთვის ეს არ გახლავთ სარეკორდო მაჩვენებელი. ტოკიოს ექსპერიმენტის მიზანი იყო ამ გზით ტელეკომპანიებისაგან მიღებული მოგების განსაზღვრა. მის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული სიახლის ბედი. არადა, ნბა-ს ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დევიდ სტერნის განცხადებით, მსგავსი მატჩების მასპინძლობის სურვილი უკვე გამოთქვეს შვეციაში, ავსტრალიაში, იტალიაში, ისრაელსა და საბჭოთა კავშირში. ლიგა კონკრეტულ პასუხს არავის აძლევს, ვინაიდან ჯერ ტოკიოს ექსპერიმენტის შედეგებია შესასწავლი.

რაც შეეხება თვით კლუბებს, ისინი შინ დაბრუნდნენ თითო გამარჯვებით. 2 ნოემბრის მატჩი მოიგო „ფენიქს სანზმა“ — 119:96, 3 ნოემბრისა კი „იუტა ჯაზმა“ — 102:101

პროფესიონალ კალათბურთელთა ჩემპიონატში დაწესებულია უამრავი პრიზი, რომელთა შესახებაც ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა. ამ პრიზებს შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომელიც ყველაზე შედეგიან კალათბურთელს გადაეცემა. ნბა-ს ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, 1947 წლიდან ტარდება და საუკეთესო ბომბარდირთა რეგისტრაციაც სწორედ ამ წლიდან დაიწყო.



# ნბა-ს სნაიპერები

საინტერესოა ერთი დეტალი: იყო დრო, როცა პროფესიულ კალათბურთში განუკითხავად ბატონობდა „ბოსტონ სელტიქსის“ კლუბი, მაგრამ ლიგის საუკეთესო სნაიპერი ამ კლუბის არც ერთი წარმომადგენელი არ გამხდარა.

1970 წლამდე ლიგის პირველი სნაიპერის სახელს ანიჭებდნენ კალათბურთელს, რომელსაც თავის კლუბისთვის ყველაზე მეტი ქულა ჰქონდა მოტანილი. ეს კრიტერიუმი შემდგომშიც დარჩა ძალაში, ოღონდ ახლა უკვე სია ყოველ მატჩში საშუალოდ მოტანილი ქულების რაოდენობით დგება (მაგალითად, ნბა-ს პირველი სნაიპერის შედეგი იყო წელიწადში 1389 ქულა, 1970 წელს გამარჯვებულისა კი 31,2 ქულა საშუალოდ ყოველ მატჩში).

მანამ, სანამ ყველა სნაიპერის გვარს გაგაცნობთ, რამდენიმე დამატებით ინფორმაციას შემოგთავაზებთ მათ შესახებ. დავიწყოთ იმით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება პროფესიულ კალათბურთში მოპოვებული აქვს „ფილადელფიის“ წარმომადგენელს უილტონ ჩემბერლენს. 1962 წლის სეზონში მან თავის კლუბს 4029 ქულა შესძინა. ეს შედეგი დღემდე არავის გაუუმჯობესებია და ალბათ ვერც ვერავინ მიუახლოვდება მას. სეზონში ათას ქულას პირველმა ჯო ფალქსმა („ფილადელფია“) გადააჭარბა. 1947 წლის სეზონში მისი მაჩვენებლი იყო 1389 ქულა. ორიათასქულიანი ზღვარი (2001) პირველად გადალახა ჯორჯ იარდლეიმ („დეტროიტი“) 1958 წელს, სამიათასიანი ზღვარი (3033) კი სენტ-ლუისელმა ბობ პეტიტმა.

ნბა-ს სნაიპერები ყველაზე ბევრჯერ იყვნენ: უილტონ ჩემბერლენი („ფილადელფია“ და „სან ფრანცისკო“) — 7. შემდეგ მოდიან: ჯორჯ გერვინი („სან ანტონიო“) და მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) — 4-4, ჯორჯ მიკანი („მინეაპოლისი“), ნეილ ჯონსტონი („ფილადელფია“), ბობ მაკადუ („ბუფალო“) — 3-3, პოლ არიზინი („ფილადელფია“), ბობ პეტიტი („სენტ-ლუისი“), აბდულ ჯაბარი („მილუოკი“) და ადრიან დენტლი („იუტა“) — 2-2; დანარჩენი 11 სნაიპერი გამარჯვებულთა შორის თითოჯერაა დასახელებული. სულ კი ნბა-ს 44 ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირის სახელი 23 კალათბურთელს აქვს მოპოვებული.

და კიდევ ერთი ინფორმაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის „ბოსტონ სელტიქსის“ არც ერთი კალათბურთელი არ გამხდარა წლის საუკეთესო სნაიპერი. არადა, ამ ტიტულს სხვადასხვა დროს 17 სხვადასხვა კლუბის წარმომადგენელი ფლობდა, მათ შორის „ფილადელფიის“ (10-ჯერ), „ჩიკაგოს“ (5-ჯერ), „სან ფრანცისკოს“, „სან ანტონიოს“ (4-4-ჯერ), „მინეაპოლისის“, „ბუფალოს“ (3-3-ჯერ), „სენტ-



ლუისის“, „დეტროიტის“, „მილუოკის“, „იუტას“ (2-2-ჯერ), „სან დიეგოს“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“, „კანზასის“, „ნიუ ორლეანის“, „დენვერის“, „ნიუ-იორკისა“ და „ატლანტას“ (თითოჯერ) კალათბურთელები.

**ახლა გთავაზობთ სნაიპერთა სიას:**

**1947 ჯო ფალქსი („ფილადელფია“) — 1389**
**1948 მაქს ზასლოფსკი („ჩიკაგო“) — 1007**
**1949 ჯორჯ მიკანი („მინეაპოლისი“) — 1698**
**1950 ჯორჯ მიკანი („მინეაპოლისი“) — 1865**
**1951 ჯორჯ მიკანი („მინეაპოლისი“) — 1932**
**1952 პოლ არიზინი („ფილადელფია“) — 1674**
**1953 ნეილ ჯონსტონი („ფილადელფია“) — 1564**
**1954 ნეილ ჯონსტონი („ფილადელფია“) — 1759**
**1955 ნეილ ჯონსტონი („ფილადელფია“) — 1631**
**1956 ბობ პეტიტი („სენტ-ლუისი“) — 1849**
**1957 პოლ არიზინი („ფილადელფია“) — 1817**
**1958 ჯორჯ იარდლეი („დეტროიტი“) — 2001**
**1959 ბობ პეტიტი („სენტ-ლუისი“) — 2105**
**1960 უილტონ ჩემბერლენი („ფილადელფია“) — 2707**
**1961 უილტონ ჩემბერლენი („ფილადელფია“) — 3033**
**1962 უილტონ ჩემბერლენი („ფილადელფია“) — 4029**
**1963 უილტონ ჩემბერლენი („სან-ფრანცისკო“) — 3586**
**1964 უილტონ ჩემბერლენი („სან-ფრანცისკო“) — 2948**
**1965 უილტონ ჩემბერლენი („სან-ფრანცისკო“) — 2534**
**1966 უილტონ ჩემბერლენი („ფილადელფია“) — 2649**
**1967 რიკ ბერი („სან ფრანცისკო“) — 2775**
**1968 დეივ ბინგი („დეტროიტი“) — 2142**
**1969 ელვინ ჰეიესი („სან დიეგო“) — 2327**
**1970 ჯერი უესტი („ლეიკერსი“) — 31,2**
**1971 ქარიმ აბდულჯაბარი („მილუოკი“) — 31,7**
**1972 ქარიმ აბდულჯაბარი („მილუოკი“) — 34,8**
**1973 ნატ არჩიბალდი („კანზასსიტი“) — 34,0**
**1974 ბობ მაკადუ („ბუფალო“) — 30,6**
**1975 ბობ მაკადუ („ბუფალო“) — 34,5**
**1976 ბობ მაკადუ („ბუფალო“) — 31,1**
**1977 პიტ მარავიჩი („ნიუ ორლეანი“) — 31,1**
**1978 ჯორჯ გერვინი („სან ანტონიო“) — 27,2**
**1979 ჯორჯ გერვინი („სან ანტონიო“) — 29,6**
**1980 ჯორჯ გერვინი („სან ანტონიო“) — 33,1**
**1981 ადრიან დენტლი („იუტა“) — 30,7**
**1982 ჯორჯ გერვინი („სან ანტონიო“) — 32,3**
**1983 ალექს ინგლიში („დენვერი“) — 28,4**
**1984 ადრიან დენტლი („იუტა“) — 30,6**
**1985 ბერნარდ კინგი („ნიუ-იორკი“)— 32,9**
**1986 დომინიკ უილკინსი („ატლანტა“) — 30,3**
**1987 მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) — 37,1**
**1988 მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) — 35,0**
**1989 მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) — 32,5**
**1990 მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) — 33,6.**

# ჩოგბურთელთა ჰონორარები

**როგორც** ცნობილია, მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები წლის განმავლობაში ზღაპრულად დიდ ჰონორარებს იღებენ. მიმდინარე სეზონში მათი შემოსავალი პირველი ოქტომბრისათვის (დოლარებში) ასე გამოიყურება (აქ შეტანილი არ არის პარიზ-ბერსის საერთაშორისო ტურნირის ჰონორარი):

1. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 1.137.176
2. ბორის ბეკერი (გფრ) — 905.902
3. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 797.802
4. ანდრეშ გომეში (ეკვადორი) — 788.725
5. ანდრე აგასი (აშშ) — 785.212
6. პიტ სამპრასი (აშშ) — 732.697
7. გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია) — 630.400
8. ემილიო სანჩესი (ესპანეთი) — 529. 833
9. ბრედ ჯილბერტი (აშშ) — 506.353
10. თომას მუსტერი (ავსტრია) — 488.747
11. ჯიმ კურიე (აშშ) — 391.605
12. ანდრეი ჩესნოკოვი (სსრკ) — 377.783
13. გი ფორჟე (საფრანგეთი) — 360.668
14. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 351.512
15. ჯეი ბერგერი (აშშ) — 343.184
16. ჯონ მაკინროუ (აშშ) — 342.305
17. იაკობ ჰლასეკი (შვეცია) — 325.191
18. იონას სვენსონი (შვეცია) — 299.320
19. აარონ კრიკშტეინი (აშშ) — 292.053
20. დევიდ უიტონი (აშშ) — 272.879

**შენიშვნა:** პარიზ-ბერსის ტურნირის შედეგების მიხედვით, რომელიც ოქტომბერში გაიმართა, ედბერგს უნდა დაემატოს 270 ათასი დოლარი, ბეკერს 145.240 დოლარი და ა. შ. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები, რომ სეზონის დამთავრებამდე დარჩენილია რამდენიმე დიდი შეჯიბრება, მათ შორის ფრანკფურტისა და მიუნხენის საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ჩოგბურთელთა შემოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდის.

**დავით ისლამოვი**


რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20